საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 6 21 0000319447

02/04/2021

ქალაქ ზუგდიდის საგანმანთლებლო რესურსცენტრს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განსახილველად შემოსულ თქვენს 2021 წლის პირველი აპრილის N312961 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის საფუძველზე (საჯარო სკოლამ ხსენებულ უწყებაში უნდა წარადგინოს განცხადება, რომელშიც უნდა მიეთითოს ინფორმაცია სარგებლობაში გადასაცემი ქონების შესახებ შესაბამისი მახასიათებლებით, სარგებლობაში გადაცემის სათანადო დასაბუთება, ვადა, საწყისი საფასურის ოდენობა და სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა პირობები), "სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანების თანახმად და სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის პოზიციის გათვალისწინებით, იჯარის ფორმით, აუქციონის წესით (არაუმეტეს ერთი წლის ვადით) გაიცეს, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებულ შენობაში (ს/კN43.28.42.185) 233.0 კვ.მ. ფართი ნებადართული საქმიანობების განხორციელების მიზნით - იმ პირობით, თუ ხელი არ შეეშლება სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, სკოლა სრულყოფილად, ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებს, არ მოხდება სკოლის სარგებლობაში არსებული უძრავ/მოძრავი ქონების დაზიანება, დაცული იქნება მოსწავლეთა უსაფრთხოება და ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები

ამასთან გთხოვთ, აუქციონში გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულების გაფორმებისას, ხელშეკრულების ვადაზე ადრე ცალმხრივად შეწყვეტის ერთ-ერთ პირობად გაითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები, კერძოდ: ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ვადაზე ადრე თუ იგი გამოწვეულია სახელმწიფო პოლიტიკით, კანონმდებლობის ცვლილებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნით, სკოლაში სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

ასევე, გაცნობებთ, რომ სარგებლობაში გადაცემის საფასური უნდა განისაზღვროს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N570 დადგენილების შესაბამისად.

ზემოაღნიშნული ფართის/ფართების სარგებლობაში გაცემიდან 10 (ათი) დღის ვადაში უნდა წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია, კერძოდ:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ ფართის იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემის თანხმობები;
2. აუქციონის გამოცხადებისა და დასრულების შემცველი დოკუმენტი;
3. იჯარის ხელშეკრულება;
4. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ტაბატაძე მარიამ